გამოხმაურება
RESPONSE

მერაბ ღაღანიძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

კორნელი კეკელიძის საეკლესიო პუბლიცისტიკა

კორნელი კეკელიძე, ათი სტატია პრესისთვის, შეადგინა, ბიბლიოგრაფიული ცნობები და საძიებლები დაურთო დარეჯან მენაბდემ, თბ.: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2019, 82 გვ.

ცოტა ხნის წინათ ცალკე წიგნად დაიბეჭდა კორნელი კეკელიძის ადრეული სტატიები, რომლებიც შეეხება და განიხილავს სხვადასხვა საეკლესიო საკითხს. კრებულში შესული მასალები დაძებნა, შეაგროვა და ერთ ნაკრებად გაამთლიანა დარეჯან მენაბდემ[1].

ყველა ეს ტექსტი, ერთის გარდა, გამოქვეყნდა 1916 წელს ყოველდღიურ გაზეთში "საქართველო", რომელსაც საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი გამოსცემდა და რომელიც 1915-1916 წლებში სანდრო შანშიაშვილის რედაქციით გამოდიოდა (შემდგომ, 1921 წლამდე, მას რედაქტორობდა გრიგოლ ვეშაპელი); კიდევ ერთი ტექსტი, რომელიც, ფაქტობრივად, ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე წაკითხული მოხსენების ჩანაწერს წარმოადგენს, 1917 წელს დაიბეჭდა საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს ჟურნალში "სვეტიცხოველი", რომელსაც იმხანად პავლე ინგოროყვა რედაქტორობდა[2]. ეს მასალები შემდგომ აღარასოდეს გადაბეჭდილა და არ შესულა, – სავარაუდოდ, სტატიათა რელიგიურ-საეკლესიო შინაარსის გამო, – კორნელი კეკელიძის ნაწერების თითქმის სრულ კრებულში, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ქვეყნდებოდა სახელ-

1 წიგნის გამოცემის გამო როსტომ ჩხეიძის გამოხმაურება ფართო რეცენზიის სახით: როსტომ ჩხეიძე, "კორნელი კეკელიძე და რელიგიური პუბლიცისტიკა", *განთიადი*, 7-8, 2020, გვ. 148-157.

2 თუმცა ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში ჟურნალის რედაქტორად არაა მითითებული პავლე ინგოროყვა: *ქართული პერიოდიკა, 1819-1945: ბიბლიოგრაფია*, შედგენილი გ. ი. ბაქრაძის მიერ, თბ.: წიგნის პალატის გამოცემა, 1947, გვ. 52.

წოდებით "ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" (1936-1986) და რომელმაც საბოლოოდ თოთხმეტი ტომი შეადგინა. ამ ტექსტების ამგვარი საგამოცემო უგულებელყოფა ბუნებრივად ჩანს საბჭოთა პერიოდის გამოცემათათვის და თავად ავტორის ბიოგრაფიისათვისაც, – უნივერსიტეტის პროფესორისა, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსისა, რომელიც იმ დროს, სამღვდელო მოღვაწეობაზე უარისთქმის შემდგომ, მკაფიოდ ემიჯნებოდა საკუთარ საეკლესიო წარსულს. ხოლო რაც შეეხება პოსტსაბჭოთა პერიოდს, პუბლიკაციათა შორის ერთადერთი გამონაკლისია ზემორე დასახელებული მოხსენება, რომელიც ამ საუკუნეში ხელახლა გამოქვეყნდა[3].

შეიძლება, აქვე ითქვას, რომ მეტად სასურველია, ასევე, დაიძებნოს და გამოიცეს ვასილ ბარნოვის საეკლესიო პუბლიცისტიკა, გამოქვეყნებული ჟურნალში "მწყემსი" (ან სხვაგანაც), რომელიც, მის თხზულებათა ათტომეულის გამომცემელთა გადმოცემით, გამზადებული იყო დასაბეჭდად, მაგრამ იმჟამად, 1960-იან წლებში, კომუნისტურმა ცენზურამ მათი გამოქვეყნება აკრძალა და მთელი ეს მასალა ამოყარა გამოსაცემად გამზადებული მწერლისეული სრული კრებულის მეათე ტომიდან, რის შესახებაც ირიბად მითითებულია კიდეც წიგნის ბოლოს, სარედაქციო კოლეგიით სახელით[4].

რაც შეეხება კორნელი კეკელიძის სტატიებს საეკლესიო თემებზე, ისინი ეძღვნება იმდროინდელ, კონკრეტულ საკითხებს და წარმოადგენს მათ მიმართ ავტორისეულ თანადროულ გამოძახილს, – კერძოდ, ავტორისეულ მსჯელობათა საგანია: სვეტიცხოვლობის დღესასწაულის მნიშვნელობა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველი ადამიანებისათვის თუ საქართველოში რუსული სინოდური ეკლესიის სტრუქტურათა გამართულობა, ტფილისის დიდუბის ტაძრის მომავალი თუ სოხუმის საეკლესიო ოლქის ჩამოყალიბების საფრთხეები, საქართველოს საექსარქოსოს ისტორიული გამოხატულება თუ კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის შექმნის შესაძლებლობა რუსეთის ეკლესიის ფარგლებში, რელიგიურ-ეთნიკური განზომილება ალეკსეი რემიზოვის ერთი მოთხრობაში, რომელიც სომეხთა საგანგებო მარხვას უკავშირდება თუ საეკლესიო რეფორმების საჭიროება-აუცილებლობა და მათი შესაძლო მიმართულებანი საქართველოს საკათოლიკოსოში.

მაგრამ სტატიებს, თავისთავადი შინაარსის გარდა, რაც უეჭველად საყურადღებოა ეკლესიის ისტორიკოსთათვის, ის ღირებულებაც

3 ნუგზარ პაპუაშვილი, "დეკანოზ კ. კეკელიძის მოხსენებები საეკლესიო კრებაზე," *ზღვარი*, 1, 2005, გვ. 5-8.

4 "გამოცემაში არ შეგვიტანია ვ. ბარნოვის ზოგიერთი წერილი, რომელიც ჟურნ. "მწყემსში" არის დაბეჭდილი" – ვასილ ბარნოვი, *თხზულებათა სრული კრებული*: ათ ტომად, ტომი 10, თბ.: ლიტერატურა და ხელოვნება, 1964, გვ. 512.

აქვს, რომ ისინი მეტ-ნაკლებად მკაფიოდ წარმოგვიჩენს კორნელი კეკელიძის პორტრეტს მისი რელიგიური განზომილებით, და ეს ტექსტები ფასეულად ჩანს მათი ავტორის პიროვნულ-ინტელექტუალური ცხოვრების გასააზრებლად, – განსაკუთრებით, მკვლევრის საქმიანობის ადრეულ, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვან პერიოდში.

ბიოგრაფიულად ცნობილია, რომ კორნელი კეკელიძე, სანამ იგი ახალდაფუძნებული ტფილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი გახდებოდა, სასულიერო პირის მსახურებას ეწეოდა: სამღვდელმსახურო საქმიანობის შეწყვეტამდე იგი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის დეკანოზი და ტფილისის სასულიერო სემინარიის ბოლო რექტორი, – სხვათა შორის, პირველი და ერთადერთი ქართველი რექტორი ამ სასწავლო დაწესებულების ასწლოვან ისტორიაში.

საერთოდ, კორნელი კეკელიძის საეკლესიო მოღვაწეობის ირგვლივ საბუთების მეტისმეტი სიმწირის მიუხედავად[5], ცნობილია, რომ მისი ჯერ დიაკვნად, ხოლო შემდგომ მღვდლად კურთხევა აღსრულებულა 1904 წელს ქუთაისში, სადაც იგი მაშინვე დაუნიშნავთ იქაური მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვრად, თუმცა მალევე, 1905 წელს, მისთვის დეკანოზის ხარისხი მიუნიჭებიათ და ტფილისში გადმოუყვანიათ ინსპექტორად ქალთა საეპარქიო სასწავლებელში, სადაც მას, ამავე დროს, ამ სასწავლებლის წმიდა ნინოს ეკლესიის წინამძღვრობა ჰრგებია (როგორც ჩანს, ამ დროიდან მას აღარასოდეს აღუსრულებია სამრევლო მოძღვრის მოვალეობები). 1909 წელს მისთვის მიუნიჭებიათ სკუფიის, 1912 წელს – კამილავკის, ხოლო 1915 წელს – ოქროს ჯვრის ტარების უფლება. ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად იგი ექსარქოს პავლე როჟდესტვენსკის დაუნიშნავს 1916 წლის 23 სექტემბერს. 1917 წლის 14 სექტემბერს, კათოლიკოს-პატრიარქ კირონ საძაგლიშვილის ინტრონიზაციის დღეს, ახალარჩეულ მამამთავარს მისთვის მიტრის ტარების უფლება მიუნიჭებია, რაც პირველი

5 კორნელი კეკელიძის ოფიციალური ბიოგრაფიები, რომლებიც უმეტესწილად კომუნისტური მმართველობის პირობებში გამოქვეყნდა, საერთოდ დუმს ამ გარემოების ირგვლივ: ალექსანდრე ბარამიძე, "კორნელი კეკელიძე (ცხოვრება და სამეცნიერო საქმიანობა)", წგ-ში: *დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე,* თბ: მეცნიერება, 1965, გვ. 5-37; ალექსანდრე ბარამიძე, *ჩვენი დიდი მეცნიერი: კორნელი კეკელიძის დაბადების მე-100 წლისთავის გამო,* თბ.: მეცნიერება, 1979; ივანე ლოლაშვილი, "აკადემიკოსი კორნელი სამსონის ძე კეკელიძე", წგ-ში: *კორნელი კეკელიძე (1879-1962): ბიობიბლიოგრაფია,* თბ.: მეცნიერება, 1979, გვ. 5-22; რევაზ სირაძე, *კორნელი კეკელიძე: დაბადების მე-100 წლისთავი,* თბ.: ცოდნა, 1979; როგორც ჩანს, კეკელიძის ბიოგრაფიების ამგვარად (და მხოლოდ ამგვარად!) წერის ინერციითაა განპირობებული, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ბოლო ხანს გამოცემულ ენციკლოპედიაშიც კი ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები, რომ იგი სამღვდელო პირი, დეკანოზი იყო: *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი,* თბ.: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, 2007, გვ. 455-457.

შემთხვევა იყო თეთრი სამღვდელოების წარმომადგენლისათვის, ანუ დაქორწინებული სასულიერო პირისათვის. კორნელი კეკელიძე საკათოლიკოსო საბჭოს წევრი ყოფილა მისი დაარსების დღიდან, 1917 წლიდან, და, მიუხედავად იმისა, რომ, თავად დეკანოზის სურვილის კვალობაზე, მას მალევე აჰხადა სამღვდელო ხარისხი კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდე ოქროპირიძემ, იგი 1922 წლამდე მაინც რჩებოდა ამ საკრებულო დაწესებულების წევრად[6]. შემდგომ იგი მთლიანად ჩამოშორდა საეკლესიო ცხოვრებას, – პირადადაც და საჯაროდაც.

დეკანოზ კორნელი კეკელიძის საეკლესიო პუბლიცისტიკიდან მკაფიოდ ჩანს, – და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია, – რომ, ავტორის თვალსაწიერიდან, ეკლესია არა იმდენად სულიერი საკრებულოა, ან, თეოლოგიური ხედვით, "ქრისტეს მისტიკური სხეული", რომელიც მორწმუნე ადამიანს მის თავთან, მეთაურთან, იესო ქრისტესთან აკავშირებს, რამდენადაც ეროვნული ტრადიციის მცველი და შემნახველი ორგანიზაციაა, რომელიც კავშირს უნარჩუნებს ხალხს – და, კერძოდ, ქართველ ხალხს, – თავის ისტორიულ წარსულთან და, ამასთანავე, უმყარებს მას ეროვნული რაობის განცდას. ამგვარი შეხედულებით, საუკუნეთა წინ სწორედ სარწმუნოებამ მიანიჭა ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს, გამთლიანებულს რელიგიური ერთიანობით, თავისი ეროვნულ-პოლიტიკური სახე. მაგალითად, ქართლის გაქრისტიანება, ავტორის თვალსაზრისით, ღირებულია, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ "მცხეთაში მომხდარმა ფაქტმა, რომელსაც დღეს ვიგონებთ, შექმნა და განამტკიცა ქართული ეროვნული და პოლიტიკური ორგანიზმი"[7]. კიდევ მეტი, მიუხედავად იმისა, რომ მცხეთობას, როგორც სულიერ-საეკლესიო დღესასწაულს, თანდათანობით დაუკარგავს თავისი რელიგიური მნიშვნელობა თუ სიმძაფრე, სამაგიეროდ, მას ამჟამად მეტი ფასი შეუძენია (ან უნდა შეიძინოს) ეროვნული (და, შესაბამისად, საერო) სულისკვეთების გამოსახატავად:

> დღეს ჩვენთვის ამ დღესასწაულს იმდენი სარწმუნოებრივი სიცხოველე აღარ აქვს, როგორც წინედ, მაგრამ ის ეხლა ჩვენთვის უფრო ძვირფასი უნდა იყოს, როგორც ეროვნულ იდეის გამომხატველი და მატარებელი.[8]

6 კორნელი კეკელიძის საეკლესიო საქმიანობის გზის მოკლე აღწერის მცდელობა: ნუგზარ პაპუაშვილი, "კორნელი კეკელიძე პირველ საეკლესიო კრებაზე და ამ კრების ორი კანონიკური დოკუმენტის ატრიბუციის საკითხი", *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი,* 1, 2008, გვ. 427-428; უფრო მეტი სიზუსტითა და მომცველობით: *Православная энциклопедия,* том XXXII, Москва: Церковно-научный центр "Православная энциклопедия", 2013, с. 329-336, განსაკუთრებით, с. 329.

7 კორნელი კეკელიძე, *ათი სტატია პრესისთვის,* თბ.: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2019, გვ. 11.

8 იქვე.

ავტორს იმდენად გადაჯაჭვულად მიაჩნია, ერთი მხრივ, რელიგიურ-სულიერი და, მეორე მხრივ, ეროვნულ-კულტურული საწყისები, რომ სწორედ მათს განუყოფელ კავშირში ხედავს იმ შეკითხვის პასუხს, თუ რატომ მოინათლნენ ასე ადვილად იმპერიაში მცხოვრები "გამაჰმადიანებული აფხაზები" (ყოველი შემთხვევისას, მათი ორი მესამედი) "ნეტარხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოზის და დეკანოზ მაჭავარიანის მეოხებით, სულ რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში", – რაც, კეკელიძის აზრით, აფხაზებსა და ქართველებს შორის "მტკიცე სულიერ-ხორციელ და კულტურულ ნათესაობით აიხსნება"[9], – ხოლო

> მას შემდეგ, რაც აქ რუსის საეპისკოპოზო დაარსდა და მისსიის საქმეც ქართველების ხელიდან რუსებისაში გადავიდა, ქრისტიანობას არამც თუ წინ არ წაუწევია, თანდათან სუსტდება, მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა საკუთარი მწერლობაც კი შეუქმნეს აფხაზებს[10].

ამდენად, კორნელი კეკელიძისათვის, როგორც ქართველი მღვდელმსახურისათვის, გადამწყვეტად მნიშვნელოვანი გახდა, რომ, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, შენარჩუნებულიყო ქართული ეკლესიის ეროვნული სახე, – თუკი ვერ აღორძინდებოდა, სწორედ შენარჩუნებულიყო მაინც, – რასაც რუსული საეკლესიო მმართველობის 1910-იანი წლების ერთი ჩანაფიქრი ემუქრებოდა. საქმე შეეხებოდა პეტერბურგულ სამთავრობო-სინოდურ მცდელობას, შექმნილიყო კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი, რომელიც უმალ გააქრობდა ეკლესიაში ჯერ კიდევ შემონახულ მცირე ქართულ ეროვნულ ნიშანს, რასაც თუნდაც დაკნინებული სახით, მაგრამ მაინც შეიცავდა საქართველოს საექსარქოსოს საეკლესიო სტრუქტურა და სულაც მისი მეთაურის ტიტული – საქართველოს ექსარქოსი[11]:

> ტერმინი "საქართველოს საექსარხოსო" თავის შინაარსით კიდევ გვაგონებდა, რომ, თუ ეხლა არა, ოდესღაც მაინც ყოფილა "საქართველოს ეკლესია"; "კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქმა" კი სამუდამოდ დამარხა ეს კანონიკური და ისტორიული ფორმულა, ვინაიდგან ამ "სამიტროპოლიტოში", რომელიც გადაიჭიმება სტავროპოლიდან აზრუმ-სპარსეთის ზღვამდე, ქართველებს და მათ ინტერესებს მეტად მცირე ალაგი ეკავებათ[12];

9 იქვე, გვ. 37; იგულისხმება ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე.

10 იქვე. გვ. 37-38.

11 ამ მწვავე საკითხის – საქართველოს საექსარქოსოს კავკასიის სამიტროპოლიტოდ გარდაქმნის – საეკლესიო და პოლიტიკური კონტექსტის ირგვლივ: მერაბ ღაღანიძე, "ვლადიმირ ბენეშევიჩი – რუსეთის დროებითი მთავრობის რწმუნებული ტფილისში", *ლიტერატურული ძიებანი,* XL, 2019-2020, გვ. 282-283; შესულია, ასევე, წგ-ში: მერაბ ღაღანიძე, *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია,* 2/1, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021 (იხეჭდება).

12 კორნელი კეკელიძე, *ათი სტატია პრესისთვის,* გვ. 18.

> ექსარხოსი დღეს-დღეობით წარმომადგენელია უძველეს ავტოკეფალურ ეკლესიისა, რომელსაც პატრიარქი განაგებდა[13];
>
> ტერმინი "საქართველოს საექსარხოსო" თვით რუსების მიერ შემოღებული არგუმენტია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიისა: ის გვეუბნება, რომ საქართველოს ეკლესიის ინკორპორაცია ჯერ არ მომხდარა, ის დღესაც დამოუკიდებელი საპატრიარქოა, მხოლოდ მას, როგორც "დაქვრივებულს", დროებით რუსეთის "ექსარხოსი" განაგებს.[14]

როგორც ჩანს, კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის ჩამოყალიბება – თუნდაც ათი წლის დაგვიანებით – რუსეთის საერო-სასულიერო ხელისუფლების პასუხი უნდა ყოფილიყო ქართველ სამღვდელოთა იმ მოძრაობის საპირისპიროდ, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა დაისახა მიზნად და რომელიც 1905-1907 წლების რევოლუციის ტალღაზე აღმოცენდა[15].

მართალია, იმხანად კორნელი კეკელიძე ნაკლებად იყო ჩართული ამ ავტოკეფალიურ ბრძოლებში (როგორც ჩანს, თავისი ახალგაზრდული ასაკისა და შეზღუდული საეკლესიო-იერარქიული მდგომარეობის გამო), მაგრამ ამ თემის ირგვლივ პოლემიკასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია მისი ერთი ადრეული სტატია ან, უფრო ზუსტად, ღია წერილი დეკანოზ ტიმოთე ბუტკევიჩის მიმართ, დაბეჭდილი რუსულად, სანკტპეტერბურგულ გაზეთში "პეტერბურგსკიე ვედომოსტი" ("Петербургские ведомости", N 279, 1906, 17 დეკემბერი), კალისტრატე ცინცაძისა და სერგი გორგაძის თანაავტორობით, რომელიც "ეტიუდების" მეცამეტე ტომში შევიდა, ავტორის გარდაცვალებიდან თორმეტი წლის შემდეგ[16]. თუმცა თავის ლიტურგიკულ კვლევებში იგი აკადემიურად მაინც შეეხო ამ საკითხს, იმავე 1906 წელს, როცა საქართველოს საექსარქოსოს პერიოდულ გამოცემაში "დუხოვნი ვესტნიკ გრუზინსკოგო ეკზარხატა" ("Духовный вестник грузинского экзархата", N 9-10, 1906) მან გამოაქვეყნა მცირე ნარკვევი ზოგიერთი ლიტურგიული ცნობის შესახებ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ[17], რომელიც, სიცოცხლის მიწურულს, თავად ავტორმა შეიტანა "ეტიუდების" მეშვიდე ტომში. ამ მიმოხილვაში იგი პირდაპირ აღნიშნავდა შესწავლილი კვლევითი საკითხის აქტუალურ სიმწვავეს, – ღირსშესანიშ-

13 იქვე, გვ. 25.

14 იქვე, გვ. 30.

15 ამ მოძრაობის კავშირის შესახებ რევოლუციურ მღელვარებასთან: Пол Верт, *Православие, инославие, иноверие: Очерки по истории религиозного разнообразия Российской империи, М.:* Новое литературное обозрение, 2012, с. 77-78.

16 კორნელი კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,* XIII, თბ.: მეცნიერება, 1974, გვ. 177-179.

17 კორნელი კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,* VII, თბ.: საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961, გვ. 253-258.

ნავია, რომ ნარკვევი ამგვარად იწყება: "საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უკანასკნელ ხანს პირდაპირ საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა"[18].

შემდგომ, როდესაც რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში ქართველმა სამღვდელოებამ გაითვალისწინა ნოე ჟორდანიას რჩევა-შეგულიანება და, ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის მეთაურობით, 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა, დეკანოზი კორნელი კეკელიძე ქმედითად ჩაერთო იმ დროს წარმოქმნილი ჯერ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის, ხოლო მომდევნოდ – საქართველოს საკათოლიკოსოს ყოველდღიურ საქმიანობაში. თუკი იგი, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, მანამდე მიჩნეული იყო მეტად გავლენიან მღვდელმსახურად საექსარქოსოში, ამჯერად მისმა პატივისცემამ და გავლენამ კიდევ უფრო მოიმატა.

მალევე რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი, რომლის ღვაწლი თავის დროს გადამწყვეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სემინარისტ კეკელიძის მიერ სწავლის გაგრძელებისა და საკანდიდატო დისერტაციის დაცვის საქმეში. კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტობისას იგი ასე მიმართავდა ეპისკოპოსს:

> მე გახლავარ ის ადამიანი, რომელიც დღეს თქვენი მოწყალებით კიევის სასულიერო აკადემიაში ვსწავლობ. [...] მოვმართე თქვენს მეუფებას მატერიალურ და ზნეობრივ დახმარებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა, რომ დღეს, კიდევ ვიმეორებ, უმაღლეს სასწავლებელში ვიმყოფები. მოუთმენლად ველოდი, მადლობა გამომეცხადებინა თქვენი მეუფებისათვის (1902 წლის 18 ოქტომბერი);
>
> ნება მიბოძეთ, [...] უმორჩილესად გიძღვნათ პირველი ნიმუში იმ შრომისა, რომელსაც მე ხელი მივყავი თქვენი შთაგონებითა და რჩევით (1905 წლის 24 მარტი).[19]

მიუხედავად ადრეული ამგვარი დამოკიდებულებისა, 1917 წელს კორნელი კეკელიძე არ მიემხრო ეპისკოპოს კირიონის ჩართვას საეკლესიო მმართველობაში და, კერძოდ, იმ მოლაპარაკებებში, რომელსაც რუსეთის დროებითი მთავრობის რწმუნებული პროფესორი ვლადიმირ ბენეშევიჩი წარმართავდა ქართველ სამღვდელოებასა და რუს ექსარქოს პავლე როჟდესტვენსკის შორის ტფილისში[20].

18 იქვე, გვ. 253.

19 ელისო აბრამიშვილი, "კირიონის პირადი საარქივო ფონდი (მიმოხილვა)", *მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი,* I, თბ.: მეცნიერება, 1971, გვ. 369.

20 "შემდეგ ბენეშევიჩმა სთქვა, „კირიონი მოდისო... დავუცადოთ იმას თუ შე[ვ]უდგეთ

სავარაუდოდ, ეს ეჭვნეული დამოკიდებულება განპირობებული იყო გავრცელებული აზრით, რომ პეტერბურგიდან ჩამოსული ეპისკოპოსი კირონ საძაგლიშვილი, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია და მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე რუსეთის მთავრობის ინტერესებს წარმოადგენდნენ და ამ მიზნით იყვნენ გამოგზავნილი ყოფილი იმპერიის დედაქალაქიდან[21].

შემდგომ, კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრებულ კირიონს[22] მკაფიოდ უცდია, მშვიდობას დაესადგურებინა ეკლესიის მამამთავარსა და სემინარიის რექტორს შორის, რის გამოც აღსაყდრების პირველსავე დღეს დეკანოზი კორნელი კეკელიძე მას იშვიათი პატივით – მიტრით – დაუჯილდოებია[23], თუმცა დაპირისპირება მათ შორის მაინც არ აღმოფხვრილა[24].

ეპისკოპოსი კირიონი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლად აირჩიეს ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე, რომელიც 1917 წლის სექტემბერში ჩატარდა (სხვათა შორის, ეს არჩევანი კრების მონაწილეთა დიდი ნაწილისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა), ხოლო ამ კრების ერთ-ერთი მომხსენებელი იყო დეკანოზი კორნელი კეკელიძე.

მუშაობასო[?]". დეკ. კეკელიძემ უპასუხა: „ამაზე მოვილაპარაკებთ კომისიაშიო"... გორგაძემ დასძინა: „ის ხომ სხვა ეკლესიის ეპისკოპოსიაო"!.. (აი, შფოთის თავები... აგენტები პლატონ-დავიდოვისა და ლეონიდისა!)" – ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* თბ.: ლიტერატურის მუზეუმი, 1913, გვ. 20; ამ მოლაპარაკებათა და მათი შედეგების შესახებ დაწვრილებით: მერაბ ღაღანიძე, "ვლადიმირ ბენეშევიჩი – რუსეთის დროებითი მთავრობის რწმუნებული ტფილისში", გვ. 281-301.

21 მერაბ ღაღანიძე, "ვლადიმირ ბენეშევიჩი – რუსეთის დროებითი მთავრობის რწმუნებული საქართველოში", გვ. 285; შდრ.: "საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში საქმის ვითარება ისე დახატეს, თითქოს ეპისკოპოსი კირიონი რუსეთის ეკლესიის ობერპროკურორს გაურიგდა საქართველოს ეკლესიის საზიანოდ" – სერგო ვარდოსანიძე, *საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წ.წ.),* თბ.: ქართული უნივერსიტეტი, 2017, გვ. 20-21.

22 კირიონის საეკლესიო საქმიანობის ეროვნული მიმართულების შესახებ: მერაბ ღაღანიძე, "კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი", წგ-ში: მერაბ ღაღანიძე, *რწმენისა და იმედის გზაზე,* თბ.: წმიდა ირინეოს ლიონელის სახელობის ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი, 2003, გვ. 9-17.

23 "დეკ. კეკელიძეს მიტრა დაჰხურა თავზე კირიონმა, იქნება დაიშალოს ჩემი მტრობა-მუხანათობაო! კირიონს ხელში ჩავარდნია კეკელიძის წერილი ეპ. პიროსისადმი 1917 წლის 7 მარტის თარიღით: კეკელიძე სხვათაშორის სწერს პიროსს: „ამბობენ, კირიონი მოდისო!.. ხო იცი, რისთვისაც მოდის!.." და სხვა! ამას სწერდა კეკელიძე კირიონზე მაშინ, როდესაც კირიონი ჯერ არ გადმოსახლებულიყო რუსეთიდან სამშობლოში!.." – ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* გვ. 54.

24 "დასნეულებულ კირიონს (დამბლა დაეცა დაუსრულებელ უსიამოვნების ნიადაგზე) 23 მაისს 1918 წლის 14 საბრალმდებლო მუხლი წარუდგინა და წაუკითხა დეკ. კ. ცინცაძემ; [...] ზედ ხელი უწერია, გარდა ცინცაძისა, დეკ. კ. კეკელიძეს, პ. ბარათაშვილს, რ. ივანიცკის, პ. ინგოროყვას, იპ. ვართაგავას" – იქვე, გვ. 98-99.

სწორედ ამ მოხსენების ჩანაწერია შესული ახალგამოსულ კრებულში.

სასულიერო სემინარიის რექტორმა და კრების დელეგატმა ახალაღორძინებულ ქართულ ეკლესიას, რომელიც ასწლოვანი რუსული ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, ფაქტობრივად, თავიდან იწყებდა ცხოვრებას, ამგვარ ცვლილებათა ნუსხა შესთავაზა:

> 1. საჭიროა ჩვენი ღვთის-მსახურება განმარტივდეს, ცხოვრებას დაუახლოვდეს და, შეძლებისდაგვარად, შინაარსით და ფრაზეოლოგიით, საშვალო მლოცველ-მორწმუნეთათვის გასაგები იყოს. [...]
>
> 2. საღვთო და საეკლესიო წიგნების საბეჭდავად უნდა შემოღებულ იქმნეს მხედრული ანბანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს წიგნები ფართო მასისთვის უფრო ხელმისაწვდომი იქნება.
>
> 3. კრებულის წევრთათვის სავალდებულო არ უნდა იყოს ეკლესიის გარეშე ანაფორის ტარება: სურვილისამებრ მათ შეუძლიათ საერო ტანისამოსი ატარონ.
>
> 4. მათთვის არც გრძელი თმებისა და წვერის ტარება უნდა იყოს სავალდებულო, ესეც კერძო სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებული.[25]

ამდენად, კორნელი კეკელიძე ქართული ეკლესიის მომავალს უკავშირებდა ლიტურგიულ-კანონიკურ რეფორმებს, რომლებიც საკმაოდ თამამად ჩანს იმ დროისა თუ იმ სივრცისათვის და რომელთაც სიახლე უნდა მოეტანა საეკლესიო ცხოვრებაში[26]: კერძოდ, უნდა შეცვლილიყო და შემოკლებულ-გამარტივებულიყო ღმრთისმსახურება, ხოლო თავად საღმრთისმსახურებო წიგნების ბეჭდვისას უნდა გაუქმებულიყო ეკლესიური დამწერლობა (ეგრეთ წოდებული "ნუსხა-ხუცური" ანბანი); ამას გარდა, სამღვდელოებას უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, საჯარო სივრცეში ეტარებინა საერო სამოსი და არ ეტარებინა გრძელი თმა ან წვერი. ნათელია, რომ ამგვარი რეფორმები ჰგავს იმათ, რაც თანდათანობით გატარდა რომის კათოლიკე ეკლესიაში თუნდაც მეოცე საუკუნის განმავლობაში (განსაკუთრებით, ვატიკანის მეორე კრების შემდეგ, რომელიც 1963-1965 წლებში ჩატარდა) და რაც თავიდანვე, რეფორმაციის ხანიდან, იმთავითვე ახასიათებდა პროტესტანტულ ქრისტიანულ საკრებულოებს.

ამ საკითხების მოგვარება, ერთი შეხედვით, დიდად რთული არ უნდა ყოფილიყო, თუმცა კრებამ არ მოიწონა და არ მიიღო ისინი. მაგრამ პრობლემა უფრო არსებითი იყო, რადგან უთქმელადაც წარმოიჭრა და ახლაც, ან ყოველთვის წამოიჭრება შეკითხვა: რამდენად

25 კორნელი კეკელიძე, *ათი სტატია პრესისთვის,* გვ. 71-72.

26 მოხსენების შესახებ და მის ირგვლივ საგანგებოდ: ნუგზარ პაპუაშვილი, "კორნელი კეკელიძე პირველ საეკლესიო კრებაზე და ამ კრების ორი კანონიკური დოკუმენტის ატრიბუციის საკითხი," გვ. 427-448.

შესაძლებელია ქრისტიანობის ბიზანტიური ტრადიციის შტოში, რომელსაც თავად მისი მიმდევრები "მსოფლიო მართლმადიდებლობას" უწოდებენ, რამე სახის ცვლილებათა თუ დამატებათა შეტანა: ან მოძღვრებაში, ან კანონიკურ დადგენილებებში, ან ლიტურგიულ ცხოვრებაში? რაკი ბიზანტიურ შტოს არ გააჩნია განუყოფელი, მთლიანი საეკლესიო სტრუქტურა და არ მოეპოვება ერთიანი, ცენტრალიზებული მმართველობა, რის გამოც ის, ფაქტობრივად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, სხვადასხვა ეროვნული საეკლესიო საკრებულოებისაგან შედგება, იმ შემთხვევისას, თუკი ამგვარ, თუნდაც რამე უმცირეს რეფორმას განახორციელებს ერთი (ან რამდენიმე) ადგილობრივი ეკლესია, მაშინ საკითხავი გახდება, როგორ შეძლებს ის ერთი (ან რამდენიმე) ეკლესია მაინც დარჩეს "მსოფლიო მართლმადიდებლობის" უცვლელ კანონიკურ-ლიტურგიულ ფარგლებში? ხოლო ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება კი პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, რადგან მსოფლიო კრების მოწვევა, ჩვეულებრივ, – როგორც ეკლესიის ისტორიის თითქმის ორიათასწლოვანი ტრადიცია ადასტურებს, – შეუძლია მხოლოდ მართლმორწმუნე ქრისტიან იმპერატორს ან რომის ეპისკოპოსს. ამდენად, კეკელიძისეული რეფორმების წარდგენა ეროვნული ეკლესიის ადგილობრივ კრებაზე, ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, განწირული იყო უშედეგობისა თუ უნაყოფობისათვის, რადგან მათი ხორცშესხმა ნამდვილად ვერანაირად ვერ მოიპოვებდა ამ "მსოფლიო მართლმადიდებლობის" მხარდაჭერას. სხვაგვარად, მაშინ ერთადერთ შესაძლებლობად რჩებოდა, ეს რეფორმები გატარებულიყო მათ მიმართ სხვა ეროვნულ საეკლესიო საკრებულოთა დამოკიდებულების უგულებელყოფით.

გასათვალისწინებელია ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტიც: კეკელიძისეულ ცვლილებათა მცდელობა, წარმოდგენილი ჯერ კიდევ 1917 წელს, შესაძლოა, განხილული იქნეს იმ რეფორმებთან თუ ფსევდორეფორმებთან გადაძახილში, რომელსაც რუსეთში სათავეში ედგნენ ეგრეთ წოდებული "ობნოვლენცები", მიტროპოლიტ ალეკსანდრ ვვედენსკის მეთაურობით[27], ხოლო საქართველოში ამგვარ გარდაქმნათა ფერმკრთალი გამოვლინებები შემდგომ, უფრო მოგვიანებით,

27 "ობნოვლენცების" მოძრაობის უშუალო მონაწილის თვალსაწიერიდან მეტად შთამბეჭდავად და ფართოდ აღწერილი მოვლენები: А. Э. Краснов-Левитин, В.М. Шавров, *Очерки по истории русской церковной смуты,* Москва: Крутицкое Патриаршее подворье, 1996; თემასთან დაკავშირებულ ისტორიულ კვლევათა და საბუთების კრებული: *"Обновленческий раскол": Материалы для церковно-исторической и канонической характеристики,* Составитель: И. В. Соловьев, Москва: Крутицкое Патриаршее подворье, 2002.

დაუკავშირდება კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე ციცქიშვილისა და მიტროპოლიტ დავით კაჭახიძის სახელებს[28]. თუ 1930-იანი წლების მიწურულამდე ამგვარ რეფორმებს ფარულად მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის უშიშროების დაწესებულებანი, შემდგომ, 1943 წლიდან, უშუალოდ სტალინმა უფრო მომგებიანად მიიჩნია არა დაპირისპირება საეკლესიო სტრუქტურათა ჩვეულ, ტრადიციულ ფორმებთან გარედან, უშიშროების დაწესებულებათა მიერ შექმნილი საეკლესიო სტრუქტურების (მათ შორის, რუსი თუ ქართველი "ობნოვლენცების") საშუალებით, არამედ საპატრიარქო ეკლესიების შიგნიდან მოთვინიერება და სწორედ მათი ჩაყენება კომუნისტური სახელმწიფოს სამსახურში[29].

რეფორმების მიუღებლობის შემდგომ დეკანოზი კორნელი კეკელიძე ერთ ხანს ისევ რჩებოდა ტფილისის სემინარიის რექტორად, თუმცა მალე სემინარიაც დაიხურა და ქრისტიანული სასულიერო ლიტერატურის მკვლევარმა, საერთოდ, უარი თქვა, გაეგრძელებინა სასულიერო მსახურება.

ტფილისის სემინარიის ბოლო დღეები და მისი გაუქმება, როგორც ჩანს, საგანგებო შესწავლასა და იმდროინდელი სახელმწიფოებრივი თუ რელიგიური გარემოს გათვალისწინებას მოითხოვს, თუმცა ამჯერად საყურადღებოა, როგორ ხედავდნენ თანამედროვენი ამ ვითარებისას კორნელი კეკელიძის ადგილს.

უპირველესად, საქართველოში რუსული საეკლესიო მმართველობის მოშლის შემდეგ წარმოიშვა საჭიროება, დაფუძნებულიყო ქართული სემინარია, რომელიც, ადვილი გათვლით, მანამდე არსებულ რუსულ სემინარიას უნდა ჩანაცვლებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მართლაც ასე მოხდა და ახალი სემინარიის რექტორადაც ისევ დეკანოზი კეკელიძე წარმოდგა:

> იმავ [1917] წლის ოქტომბრის [...] შუა რიცხვებში, იმავ დედათა საეპარქიო სასწავლებლის ტაძარში (სემინარიას [sic!] შენობა ჯარს ეჭირა), კათოლიკოზ კირიონ მეორისა და ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდის თანდასწრებით, გახსნილ იქნა "ტფილისის ქართული სასულიერო სემინარია"; ყოფილ სემინარიის მოწაფეთა და კორპორაციისაგან სავ-

28 ამ დაპირისპირებათა შესახებ იხ.: კალისტრატე ცინცაძე, "მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან (მასალები)", *მწიგნობრობა ქართული*, 9, თბ.: ციცინათელა, 2010, გვ. 305-481; სერგო ვარდოსანიძე, *საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წ.წ.)*, გვ. 202-229.

29 რელიგიის მიმართ სტალინური პოლიტიკის შესახებ, აქამდე უცნობი მრავალი საარქივო საბუთის დამოწმებით: И. А. Курляндский, *Сталин, власть, религия*, Москва: Кучково поле, 2011.

> სე იყო ტაძარი; ჩვენ მიერ ამორჩეულმა რექტორმა (დეკ. კ. კეკელიძემ) პარაკლისის წინ წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა, რომელშიდაც მან მთელი საუკუნის მანძილზე "ხელი გაუწოდა" ძველ ქართულ სემინარიის უკანასკნელ დავით რექტორს და მით აღადგინა რუსთა ბატონობის მიერ გაწყვეტილი ძაფი ჩვენი სასულიერო და საქრისტიანო კულტურის მსვლელობისა.[30]

მაგრამ საქმე ისე წარმართა, რომ რუსული სემინარია დაიხურა, რადგან ის რუსულ ეკლესიას ეკუთვნოდა, ხოლო ქართული სემინარიის ცხოვრება კი ვერ გაღვივდა, რადგან მას არა მარტო დაუძლეველი ფინანსური დაბრკოლებანი გაუჩნდა, არამედ, ამასთანავე, – რაც იმხანად, ალბათ, უმთავრესი მიზეზი იყო, – დიდად არც შეიმჩნეოდა მისი აღორძინებისა თუ განახლების სურვილი[31]. მართალია, პირადად ნოე ჟორდანია, ზოგიერთი ცნობით, თითქოს არ იყო მისი გაუქმების მომხრე[32], მაგრამ სემინარიამ ქვეყნის სეკულარულ-რევოლუციურ გარემოში მაინც სული დალია:

> ამ მიხლა-მოხლაში, დაუდევრობაში და რელიგიურ გულციობაში სულ ერთიანად გაიხრწნა ჩვენი "ქართული სასულიერო სემინარია", ის უფრო მეტად დაშორდა თვისს დანიშნულებას და ეკლესიის მიზნებს, იქ აღარ იყო არავითარი სახე ეკლესიურ-სარწმუნოებრივი, ატარებდენ მხოლოდ სასულიერო სემინარიის სახელს; ეს სახელიც კი მალე სათაკილოდ მიიჩნიეს, როგორც მასწავლებლებმა, ისე მათ შემყურე მოწაფეებმაც; ნოე ჟორდანიას მთავრობას სახლის კარები აუტალახეს, გადაგვრიცხეთ განათლების სამინისტროში, რომ "უფლებები" არ დაგვეკარგოსო და ხაზინიდან ჯამაგირები არ მოგვესპოსო. [...] ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ დიდი ნაწილი მოწაფეებისა წინააღმდეგი იყო სემინარიის გაუქმებისა, ბევრი იყო მათ შორის სარწმუნოებრივადაც განწყობილნი, მაგრამ ასეთ ატმოსფერაში უხელმძღვანელოდ დარჩენილნი, ისინიც საერთო ტალღაში ითქვიფებოდენ და იხშობოდა ახალგაზრდათა ნორჩ გულში სარწმუნოებრივი სიფაქიზე და გრძნობანი. გადაკეთდა ქართული სემინარია საზოგადო ტიპის გიმნაზიად, უსამღვთო სჯულოდ![33]

როგორც ჩანს, სემინარია, ფაქტობრივად, დაიხურა 1918 წელს[34],

30 ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* გვ. 812.

31 "ისე დაიხურა ტფილისის სემინარია, რომ არც ერთი მღვდელმთავარი ჩვენი იქ არ მისულა, არავითარი რევიზია არ გაუკეთებიათ, არც ერთი გაკვეთილი არ მოუსმენია ვინმეს" – იქვე, გვ. 813.

32 "ცხადია, ნ. ჟორდანიას ენანებოდა სახელოვან სასწავლებლის დაღუპვა, მას ეგონა, რომ ჩვენ უფრო მოუვლიდით და შევინახავდით, მაგრამ ვინ იყო მსმენელი!" – იქვე, გვ. 102.

33 იქვე, გვ. 813.

34 ზოგიერთ წყაროში სემინარიის დახურვის თარიღად მითითებულია 1917 წელი (*ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,* ტომი 4, თბ.: მთავარი სამეცნიერო რედაქ-

მაგრამ, საფიქრებელია, არა იმდენად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის სეკულარული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფარგლებში, რისი გამოხატულებაც იმჯერად საბუთობრივ არ დასტურდება, რამდენადაც სემინარიაში შექმნილი საერთო განწყობილებისა და ფინანსური მიზეზების გამო[35].

ამდენად, კორნელი კეკელიძის რექტორობა – როგორც რუსული, ისე ქართული სემინარიისა, – მთლიანად, მაინც ხანმოკლე აღმოჩნდა (1916-1918)[36] და მას მალევე მოუხდა ამ თანამდებობის დატოვება:

> როგორც ვიცით, მენშევიკურმა მთავრობამ თბილისის სასულიერო სემინარია მერვე ვაჟთა გიმნაზიათ გადააკეთა. კორნელი კეკელიძე, როგორც სასულიერო პირი, იძულებული იყო წასულიყო.[37]

თუმცა სემინარიის განადგურებაში ზოგიერთი თანამედროვე ბრალს სდებდა თავად რექტორსაც, რომელსაც ამ დროს თავისი საქმიანობის შუაგული უკვე გადატანილი ჰქონდა ტფილისის უნივერსიტეტში:

> სემინარია (უდროდ) დაჰღუპა მისმა "უკანასკნელმა" რექტორმა, დეკ. კ. კეკელიძემ [...], თვით სასწავლებელი კი გადასცეს საერო მთავრობას, რომელმაც ის გიმნაზიად გადააკეთა, შემდეგ სულ მოსპო! შენობა

ცია, 1979, გვ. 612; *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი,* გვ. 360), ზოგან – 1918 წლის ზაფხული (ნუგზარ პაპუაშვილი, "კორნელი კეკელიძე პირველ საეკლესიო კრებაზე და ამ კრების ორი კანონიკური დოკუმენტის ატრიბუციის საკითხი," გვ. 428), ან სულაც 1919 წელი ("ამ "ადმინისტრატორთა" ხელში დალია სული 1919 წელში ჩვენმა თბ. სასულიერო სემინარიამ" – ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* გვ. 219).

35 სემინარიის დახურვის გარემოებათა შესახებ დაწვრილებით (უნდა აღინიშნოს, რომ ჩანაწერები განმსჭვალულია უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულებითა და გრძნობით ყოფილი რექტორის მიმართ): ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* გვ. 101–103.

36 მის რექტორობას ასე ახასიათებს სემინარიის ყოფილი პედაგოგი იპოლიტე ვართაგავა: "კეკელიძეს სრულებით არ ახასიათებდა მედიდური ბიუროკრატიზმი, არ იყო გადამეტებით პატივმოყვარე, მასთან გულახდილად, მოურიდებლად ლაპარაკი, მსჯელობა შეიძლებოდა. მის რექტორობის დროს არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ვინმესთან არასასიამოვნო კონფლიქტი მოსვლოდეს. მას ერთხელაც არ უგრძნობინებია ამხანაგებისათვის, რომ ეგზარხოსთან კარგი დამოკიდებულება მაქვსო, საკითხს როგორც მინდა, ისე გადავაწყვეტინებო. თუმცა კეკელიძეს ტკბილად, უპრეტენზიოდ ეჭირა თავი თანამოსამსახურეებთან, მაგრამ ყველა კი გრძნობდა, რომ ღრმა, ერთგული, გულწრფელი მეგობრობისათვის საჭირო თვისებებით არ იყო დაჯილდოებული" – იპოლიტე ვართაგავა, *მოგონებები,* (ხელნაწერი), [დაცულია მწერლის ოჯახში], გვ. 68; ვართაგავას მოგონებათა მეორე ნაწილის წიგნურ გამოცემაში დატოვებულია მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი, რომელიც კორნელი კეკელიძის რექტორობას უმოკლესად აღწერს: იპოლიტე ვართაგავა, *მოგონებები,* ნაწილი მეორე, თბ.: ცოდნა, 1962, გვ. 311; დანარჩენი ნაწილების გამოუქვეყნებლობის, ანუ აკრძალვის მიზეზებს ავტორი ხსნის მოგონებათა იმავე ხელნაწერში: გვ. 60-61.

37 იპოლიტე ვართაგავა, *მოგონებები,* (ხელნაწერი), გვ. 73.

(ახალი, ვაკეზე) და დარჩენილი ქონება (ბიბლიოთეკაც) უნივერსიტეტს გადასცა! თვით "რექტორიც" – კეკელიძე ამავ უნივერსიტეტის "პროფესორად" გახდა და 1920 წელში ანაფორაც გაიხადა![38]

სემინარიის დახურვის შემდგომ კორნელი კეკელიძე თანდათანობით საჯაროდ სავსებით ჩამოშორდა რელიგიურ ცხოვრებას (თუმცა 1922 წლამდე იგი მაინც მონაწილეობდა საკათოლიკოსო საბჭოს მუშაობაში როგორც საერო პირი). უნდა ითქვას, რომ მის პირად რელიგიურ გრძნობებს ფრიადი დაეჭვებით აღიქვამდნენ მისი თანამედროვენი[39].

1918 წელს კორნელი კეკელიძე უნივერსიტეტის პროფესორად იქნა მიწვეული[40], თუმცა იგი, გარდა სხვადასხვა დროს მოპოვებული საუნივერსიტეტო-აკადემიური მნიშვნელოვანი თანამდებობებისა (კათედრის გამგე, დეკანი, პრორექტორი, ინსტიტუტის დირექტორი), 1920-1930-იან წლებში ქმედითად იყო ჩართული კომუნისტური მმარ-

38 ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* გვ. 75.

39 იპოლიტე ვართაგავა თავისი მოგონებების მეორე ტომის გამოუქვეყნებელ ნაწილში აღწერს კორნელი კეკელიძის სემინარიის რექტორად ყოფნის პერიოდს: "კეკელიძე განაგრძობდა თავის კაბინეტურ მუშაობას. პედაგოგიურ საბჭოს საქმეების შესწავლა, შესრულება-მოწესრიგება მთლად მიანდო ერთგულ და მშვენიერ მომუშავეს – მდივანს, ინსპექტორის თანაშემწეს – ივანე ბერიაშვილს. წირვა-ლოცვითაც არ იწუხებდა თავს... სუყველაფერში ეტყობოდა, რომ მორწმუნე კაცი არ უნდა ყოფილიყო და ანაფორა ჩაეცვა მხოლოდ კარგი ადგილის მისაღებად. ერთი უდავო ღირსება კეკელიძესი ის იყო, რომ ის სამაგალითო შრომისმოყვარეობის და მეცნიერული კვლევა-ძიების გატაცების მაგალითს იძლეოდა" – იპოლიტე ვართაგავა, *მოგონებები,* (ხელნაწერი), გვ. 68; ასევე იხსენებს კეკელიძეს ნიკიტა თალაქვაძე: "დეკ. კეკელიძე, როგორც ურწმუნო [...] კაცი, ამ საქმეს ვერ შეასრულებდა, არც უნდა ეკისრნა, არც საკათ. საბჭოს უნდა დაეკისრებია მისთვის ასეთ დროში ასეთი კონფესიონალური, წმინდა სარწმუნოებრივი საქმე" – თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* გვ. 102; უკვე პროფესორ კეკელიძის სტუდენტის, ადრე სემინარიელის, ვინმე ჩაჩანიძის, აზრი ჩაუწერია თალაქვაძესვე: "მეტისმეტად რაციონალისტურად აშუქებს ჩვენს საეკლესიო ისტორიას, დიდი ურწმუნო ვინმე ყოფილა ეს ჩვენი ყოფილი სემინარიის რექტორი, დეკანოზი კეკელიძეო [...], სულ უარს ჰყოფს ყოველივე ზებუნებრივს და სულიერსო" – იქვე, გვ. 184; იგივე თალაქვაძე კეკელიძეს აბრალებს უნივერსიტეტის ეკლესიის გაუქმებასაც: "კეკელიძისათვის არც ვინმეს[,] არც რაიმეს ძალა არ დაუტანებია, ანაფორა გაეხადა, პირიქით, მაგან თვისი ანაფორის გახდით, დააყრუა, გააუქმა უნივერსიტეტში არსებული ჩინებული ეკლესია დავით აღმაშენებლის სახელზე" – იქვე, გვ. 190.

40 "ამ დროს თბილისში ქართული უნივერსიტეტი დაარსდა. მას სათავეში ჩაუდგა ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი – ივანე ჯავახიშვილი. საჭირო იყო ლექტორთა და პროფესორთა კადრების შექმნა. ის შეუდგა საჭირო და გამოსაყენებელ პირების ძებნას. მე არ ვიცი, იცნობდა თუ არა პირადათ ივანე ჯავახიშვილი კეკელიძეს. უეჭველი კი არის, რომ ქართველი მეცნიერი ჯავახიშვილი იცნობდა კეკელიძეს მეცნიერულ ხასიათის მონოგრაფიებს. ალბათ, მან ისიც იცოდა, რომ კეკელიძეს საპატიო მეცნიერული ხარისხი ჰქონდა – ღვთისმეტყველების მაგისტრი იყო. ამნაირად ივანემ კეკელიძე უნივერსიტეტში ლექტორად მოიწვია და ძველი სასულიერო ისტორიის კურსის წაკითხვა ჩააბარა. ივანე არ მოტყუვდა არჩევანში. კეკელიძე პირდაპირ ზედგამოჭრილი გამოდგა დავალებული ფუნქციებისათვის და ძლიერ მალე დაიმსახურა ივანეს ნდობა და დაფასება" – იპოლიტე ვართაგავა, *მოგონებები,* (ხელნაწერი), გვ. 77.

თველი დაწესებულებების საქმიანობაშიც: იყო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის წევრი; საქართველოსა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი; მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ტფილისის საბჭოს დეპუტატი.

ყურადსაღებია, რომ მკვლევრის ნიშნეულ საჯარო აქტიურობას ადასტურებს კომუნისტური რეჟიმის მიმართ იდეურად უკიდურესად დაპირისპირებული მწერლის, იოსებ მჭედლიშვილის, დღიურიც, სადაც ამგვარად სარკასტულადაა აღწერილი 1927 წლის 7 ნოემბრის, ეგრეთ წოდებული "ოქტომბრის დიდი რევოლუციის", აღსანიშნავი აღლუმი ("ეს ერთგვარი აღლუმია, აღლუმი წითელი საქმის გაკეთებისა"[41]):

> უნივერსიტეტის მუშაკთ მიუძღოდა [რექტორი] თედო ღლონტი თავისი უაზროდ დაღრეჭილი სახით, უნამუსო ღიმილით, [...] გამოკრეტინებული თვალებით, რომლებზედაც აუფარებია გერმანული შავბორბლიანი სათვალეები.
>
> გვერდში მიჰყვებოდა მას შალვა ნუცუბიძეც, ეს მიტინგების პროფესორი და კორნელი კეკელიძე. აი, ისტორია! ეს ხალხი ისტორიული ხალხია. მომავალი ქვეყანა მათ სიტყვებს, მათ ნაწერებს, მათ შრომებს წაიკითხავს და... რა იქნება, ნეტა! რა მოჰყვება ჩვენი ამბების, ჩვენი სინამდვილის მათგან დამახინჯებულად გადმოცემულის შესწავლას?[42]

1930 წელს, 19 მარტს, უნივერსიტეტში გამართულა მეცნიერთა კრება, სადაც ვრცელი მოხსენებით გამოსულა პროფესორი შალვა ნუცუბიძე, ხოლო თანამომხსენებელი ყოფილა პროფესორი კორნელი კეკელიძე. ამ სხდომის ანგარიში მეორე დღესვე, 20 მარტს, გამოქვეყნებულა გაზეთ "კომუნისტში"[43]. კრების მონაწილე პროფესორებს სასტიკად დაუგმიათ რომის პაპის განცხადება მორწმუნეთა მდგომარეობის გამო საბჭოთა კავშირში[44] და გამოუხატავთ თავიანთი აღშ-

41 იოსებ მჭედლიშვილის, *დღიური:* 1924-1941, თბ.: ლიტერატურის მუზეუმი, 2014, გვ. 97.

42 იქვე, გვ. 99.

43 ცნობები აღებულია: ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* გვ. 625-627.

44 იგულისხმება რომის პაპის, პიუს მეთერთმეტის, 1930 წლის 8 თებერვლის მოწოდება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მიმართ, შეწყვეტილიყო ქვეყანაში რელიგიის დევნა და სამღვდელოების დაუნდობელი ჟლეტა, და, ასევე, პაპის მიერ იმავე წლის 19 მარტის გამოცხადება საბჭოთა კავშირში დევნილ მორწმუნეთათვის ლოცვის მსოფლიო დღედ, რასაც მთელ საბჭოთა კავშირში, სადაც პაპის ეს განცხადება "ახალ ჯვაროსნულ ომად" იქნა მონათლული, ქვეყნის იდეოლოგიური დაწესებულებების მიერ მართული ფართო პროტესტები მოჰყვა (საყურადღებოა, რომ ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორთა სხდომა სწორედ 19 მარტს ჩატარებულა). ვატიკანში მომხდარი ამ მოვლენისა და საბჭოთა კავშირში მისი გამოძახილის შესახებ უახლესი ლიტერატურიდან: Dennis J. Dunn, *The Catholic Church and Soviet Russia,* 1917-1939, London/New York, 2017, p. 74-75.

ფოთება იმის გამო, რადგან პაპს "დღეს ერთბაშად აუტოკდა გული ქრისტიანების დასაცავად საბჭოთა ქვეყანაში"[45].

საგაზეთო პუბლიკაციაში მოყვანილია კორნელი კეკელიძის გამოსვლის ნაწყვეტიც ამ კრებაზე, სადაც მას განუცხადებია:

> დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია ვერ ინელებს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე პროლეტარიატის დიქტატურის არსებობას. ბურჟუაზიის წაქეზებით კათოლიკეთა ეკლესია მახვილს ლესავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამ მუშაობას ხელმძღვანელობს "სულიერი მამა" – რომის პაპი. ჩვენ გაბედულად უნდა უთხრათ მათ: შეჩერდით, ქარქაშში ჩააგეთ ხმალი, სულ ერთია, თქვენი დღეები დათვლილია. ისტორიულად თქვენ განწირულნი ხართ და უსათუოდ დამარცხდებით.[46]

შეკრების მეორე დღეს პაპის საწინააღმდეგოდ "გაიმართა ტფილისის მუშა-მოსამსახურეთა ძლიერი დემონსტრაცია"[47]. ჩატარებულა, ასევე, მიტინგიც: "ესენი რომ წავიდ-წამოვიდნენ, შემდეგ „კერძო მოქალაქენი" და მილიციელები გამოვიდნენ ფორმებით, ჩირაღდნებით და გაიძახოდნენ – „ძირს პაპი"! „ძირს ხუცები"! „ძირს ყოველგვარი ცრუმორწმუნეობაო"!.."[48]

იმავე 1930 წელს ერთ-ერთი რადიოგადაცემის ტექსტი ჩაუწერია ნიკიტა თალაქვაძეს:

> ამას წინეთ რადიოში მოვისმინე ასეთი გადაცემა: "ანტირელიგიურ ფრონტზე დიდი მიღწევები გვაქვსო... ამ საქმეში მუშაობენ დიდი მეცნიერული ძალები, როგორიც არიან პროფესორები – ნუცუბიძე და კეკელიძეო!.."[49]

ერთი წლის შემდგომ, 1931 წელს, ახალი იდეოლოგიური ბრძოლა გაჩაღებულა ეგრეთ წოდებული "კონდრატიევშჩინის" წინააღმდეგ. მაშინდელ საქართველოს პედაგოგიურ ინსტიტუტში (რაკიღა უნივერსიტეტი იმ დროს გაუქმებული იყო) ჩატარებულა სხდომა, რომელზეც დაუგმიათ ქართველ პროფესორთა დიდი ნაწილი (მიუხედავად იმისა, რომ არცერთ გაკიცხულ მკვლევარსა თუ მეცნიერს ნამდვილად არაფერი აკავშირებდა ნიკოლაი კონდრატიევის მიერ შემუშავებულ ეკონომიკური ტალღოვანი ციკლების თეორიასთან[50]; თუმცა საქმე ის

45 ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* გვ. 626.

46 იქვე.

47 იქვე, გვ. 629.

48 იქვე.

49 იქვე, გვ. 648.

50 ნიკოლაი კონდრატიევის, მისი თეორიისა და ამ თეორიის ტრაგიკული პოლიტიკური გამოძახილის შესახებ: Naum Jasny, *Soviet Economists of Twenties, Named to be Remembered,* Cambridge/New York [a.o.]: Camgridge University Press, 1972, p. 158-178 (ნაშრომის ბოლოდროინდელი რუსული თარგმანი: Наум Ясный, *Советские*

იყო, რომ "კონდრატიევშჩინა" სტალინურ პოლიტიკურ ენაში "კონტრრევოლუციური მავნებლობის" სინონიმად იყო ქცეული[51]). მალევე, გაზეთ "კომუნისტის" 1931 წლის 7 იანვრის გამოშვებაში (N 6) დაიბეჭდა ამ სხდომაზე მიღებული რეზოლუცია[52], – განმსჭვალული პიროვნების გამანადგურებელი კრიტიკით ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, დიმიტრი უზნაძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, სერგი დანელიას წინააღმდეგ, "რომელნიც გაჟღენთილნი არიან იდეალისტური მსოფლმხედველობით, ნაციონალიზმით, სარწმუნოებრივი ფანატიზმით, რომელთათვისაც მარქსიზმი-ლენინიზმი არარას წარმოადგენს"[53]; განსაკუთრებული ძაგება ერგო გრიგოლ წერეთელს, რომლის დაუფარავი სარწმუნოებრივი ცხოვრებაც და ხედვაც დანაშაულად იქნა მიჩნეული (მას არასოდეს უარუყვია თავისი რელიგიური აღმსარებლობა!)[54]: რეზოლუციის სიტყვებით, იგი მიჩნეული იქნა კომუნისტური წყობილებისათვის მეტად არასანდო პროფესორად, "რომელიც „მეცნიერულ აგიტაციას" ეწეოდა ახალგაზრდობაში რელიგიის სასარგებლოდ... ის მეცნიერებას უქვემდებარებს სარწმუნოებას თავისი ღვთის მოყვარეობით და ჯვრის ტარებით... ახალი წესწყობილებისა არაფერი არა სწამს"[55]; ნაკლები, მაგრამ მაინც მწვავე გაკილვა ერგოთ აკაკი შანიძეს, რომელსაც დემაგოგია და ცილისწამება დაჰბრალდა, და, ასევე, უფრო ახალგაზრდებს: არნოლდ ჩიქობავას, ნიკო ბერძენიშვილს, ვარლამ თოფურიასა და სიმონ ჯანაშიას; კიდევ, "ჭაობში მოქცეულ პროფესორებად" დასახელებული არიან: გიორგი ჩუბინაშვილი, ანდრია ბენაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, ალექსანდრე ჯანელიძე და სხვები[56].

რეზოლუციაში მოწონებულია მხოლოდ ორი პროფესორის განცხადებაც და საქმიანობაც:

экономисты 1920-х годов. Долг памяти, Москва: Дело, 2012, с. 231-257; წიგნის რუსულ გამოცემას ერთვის სტალინის მიმოწერაც, რომელიც ამ კამპანიას უკავშირდება: с. 321-336); უახლესი ლიტერატურიდან: Л. Е. Гринина, А. В. Коротаева, В. М. Бондаренко (ред.), *Н. Д. Кондратьев: кризисы и прогнозы в свете теории длинных волн: Взгляд из современности,* Москва: Учитель, 2017.

51 *Кондратьевщина: (Сборник),* Москва: Издательство Коммунистической академии, 1930 (მაგალითად, с. 5, 6 და ბევრგან სხვაგან მთელ კრებულში).

52 ცნობები აღებულია: ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* გვ. 695-698.

53 იქვე, გვ. 696.

54 ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობა გრიგოლ წერეთლის შესახებ, – განსაკუთრებით, მისი სარწმუნოებრივი პოზიციის გამო: მერაბ ღაღანიძე, "ქვაზე ამოსაკვეთი სახელი", *ჩვენი მწერლობა,* N50 (128), 13-19 დეკემბერი, 2002; შესულია, ასევე, წგ-ში: მერაბ ღაღანიძე, *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია,* 1, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021 (იბეჭდება).

55 ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* გვ. 696.

56 იქვე.

> კრებას დამაკმაყოფილებლად მიაჩნია პროფესორ კეკელიძის [...] და პროფ. გ. ნათაძის გამოსვლები. ისინი საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე ეწევიან ენერგიულ მუშაობას. ესენი ფიცს სდებენ, რომ დიალექტიური მეთოდის გამოყენებით აღზრდიან ახალ კადრებს.[57]

კრებამ კიდევ უფრო დააზუსტა კეკელიძის იმჟამინდელი იდეური მდგომარეობა, მოუწონა გამოსწორების მცდელობა, მაგრამ მაინც არ დაუვიწყა წარსულისეული შეცდომები:

> პროფესორ კეკელიძეს აქვს შეცდომები მეთოდოლოგიაში, მაგრამ ის სცდილობს ამ შეცდომების გამოსწორებას...[58]

თუმცა თვით კეკელიძეს და მის ქმედებებს, ანუ იმას, თუ როგორ შეცვალა მან საკუთარი იდეური თუ პოლიტიკური ორიენტაცია, როგორც ჩანს, მაინც სანიმუშოდ მიიჩნევდნენ სხდომის იდეოლოგიური წამყვანები და სხვა პროფესორებს მაგალითად უსახავდნენ,

> რომ "ის „მემარცხენეა", მემარცხენე პროფესურაში მუშაობს, არა ჰგავს პროფ. შალვა ნუცუბიძეს, რომელიც ორ სკამზე ზის – თითქოს ჩვენთან მუშაობს – ისე კი იდეალისტური მეთოდის მიმდევარიაო"![59]

ამდენად, ცხადია, რომ პროფესორი კორნელი კეკელიძე მკაფიოდ იყო ჩაბმული, ზოგადად, კომუნისტურ იდეოლოგიურ საქმიანობაში, მაგრამ, კერძოდ, იგი განსაკუთრებით იჩენდა თავს საბჭოთა მებრძოლი ათეიზმის პროპაგანდაშიც. მისი მუშაობის ამგვარი ორიენტაცია, – მას შემდგომ, რაც მან უარყო სასულიერო სამსახური, – დასტურდება მისი გამოქვეყნებული ტექსტებითაც.

1945 წელს კორნელი კეკელიძე გამოსცემს თავისი წიგნების წყების – "ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" – მეორე ტომს (რაც, ფაქტობრივად, ამ წყების პირველი ცალკე დაბეჭდილი ტომია), სადაც მას შეაქვს გამორჩეულად ღირებული საკუთარი ლიტერატურულ-კულტურული ნაშრომები და მათ შორის, კრებულის ბოლოს, იგი მოათავსებს მანამდე გამოუქვეყნებელ ნარკვევს – "ქრისტიანიზმი და მითრაიზმი (რელიგიურ სისტემათა ისტორიისათვის საქართველოში)"[60], რომელიც სრულებითაც არ ეკუთვნის ძველი ქართული ლიტერატურის თემატიკას და საკმაოდ შორს სცილდება მას. დაწყებული სათაურიდან (არა ქრისტიანობა, არამედ "ქრისტიანიზმი", ანუ იდეოლოგია!), ტექსტი გამსჭვალულია მძაფრად ანტიქრისტიანული ან, საერთოდ, ანტირელიგიური სულისკვეთებით.

57 იქვე.

58 იქვე, გვ. 697.

59 იქვე.

60 კორნელი კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,* II, სტალინის სახელობის თსუ გამ-ბა, თბ.: 1945, გვ. 342-353.

ნარკვევის დასაწყისშივე გაცხადებული კეკელიძისეული სიტყვებით,

> გამოირკვა, რომ ღმერთები ისევე იბადებიან, იზრდებიან, მოხუცებულებაში შედიან და მერე კვდებიან, როგორც მათი თაყვანისმცემელი ერები თუ კერძო პირები. გამოირკვა ისიც, რომ ყველა ისინი ღვიძლი ძმები არიან ერთიმეორისა და გენეტიკურად დაკავშირებულნი ურთიერთ შორის. აქედან გამონაკლისს არც ქრისტიანობა შეადგენს, ისიც ამ ქვეყნად ყოფილა აღმოცენებული, ამ ქვეყნიური ცხოვრების პირობებში და მისი კარნახით.[61]

ამ თვალსაზრისით, ქრისტიანობა სრულიად მიწიერი – ადამიანთა მიერ ამ ქვეყნად და ამქვეყნიურ საჭიროებათა გამო შექმნილი – მოძღვრება ყოფილა.

სხვა საკითხებთან ერთად, მკვლევარი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ქრისტიანობა არა მონოთეისტური, არამედ დუალისტური რელიგიაა და რომ სატანა ქრისტიანთათვის ღმერთის თანაბარი არსებაა, რაც არსებითად მიუღებელი იყო და არის ქრისტიანული თეოლოგიური აზროვნებისათვის (ისევე როგორც ტექსტში გამოთქმული არაერთი შეხედულება სრულიად დაშორებულია ქრისტიანული მოძღვრების შინაარსს):

> დუალისტურ პრინციპზეა აგებული ფაქტიურად ქრისტიანობაც; აქაც საუბარი ორ საწყისზეა: კეთილსა და ბოროტზე. კეთილის წარმომადგენელია ღმერთი, მამა ყოველი ხილულის და უხილავისა, ბოროტის – სატანა, ეშმაკი. [...] სატანასთან საბრძოლველად და მისი ძლიერების შესამუსრავად ღმერთმა ქვეყნად მოავლინა თავისი ძე, ქრისტე, რომელიც, კეთილ ანგელოზებთან ერთად, პირნათლად ასრულებს თავის დანიშნულებას.[62]

კიდევ, ნარკვევში წმიდა გიორგი გამოცხადებულია მითრას სახეცვლილებად, თუმცა თავად კეკელიძის გამოუქვეყნებელ ნაწერებს შორის აღმოჩენილია დაუთარიღებელი ჩანაწერი ("როდის გაჩნდა წმ. გიორგის კულტი საქართველოში?"), სადაც იგი ცალკეული საბუთების მიმოხილვის შემდეგ დაასკვნის, რომ "ყველა ამ ნიშნით, გიორგის კულტი უნდა შემოსულიყო ჩვენში VIII საუკ."[63], რაც სავსებით ეწინააღმდეგება თვალსაზრისს, რომ წმიდა გიორგიმ ადრინდელი მითრაისტული ღმრთაება ჩაანაცვლა (სავარაუდოდ, თავისი ამ თვალსაზრისით კორნელი კეკელიძე დაუპირისპირდა ივანე ჯავახიშვილისეულ

61 იქვე, გვ. 342.

62 იქვე, გვ. 344.

63 კორნელი კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,* XIV, თბ.: თსუ გამ-ბა, 1986, გვ. 194.

კონცეფციას, რომელიც ქართველთა შორის წმიდა გიორგის კულტს მთვარის წარმართული კულტის სახეცვლილებად მიიჩნევდა[64]).

1954 წელს გამოქვეყნდა კორნელი კეკელიძის ბროშურა – "მეცნიერება ქრისტეს შობის შესახებ", რომელიც, როგორც თავად გამოცემაშია მითითებული, წარმოადგენს "თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამას"[65]. მოხსენების ტექსტი მებრძოლი ათეიზმის პოზიციებიდან, – ათეისტურ (ანუ, ადრეული საბჭოთა ტერმინოლოგიით, "მებრძოლ უღმერთოთა") პროპაგანდისტურ ლიტერატურაში მეტად გავრცელებული, წიგნიდან წიგნში გადასული მტკიცებულებებით, – განიხილავს ქრისტეს პიროვნებას, მის ისტორიულობას, გადმოცემას (თუ გადმოცემებს) მისი შობის შესახებ[66]. უნდა ითქვას, რომ ამ წიგნაკის თემები აზრობრივ და ფაქტობრივ გადაძახილს წარმოადგენს ზემორე ხსენებულ უფრო ადრეულ ნარკვევთან – "ქრისტიანიზმი და მითრაიზმი"[67].

მკვლევარი ამ ბროშურაში ცდილობს, გაარკვიოს საკითხი, რამდენად ნამდვილად არსებობდა იესო ქრისტე და, შესაბამისად, რამდენად შეიძლება სანდო იყოს ცნობები, რომ იგი, საერთოდ, დაიბადა:

---

64 "ქართველი ხალხის აზროვნებაში წმიდა გიორგის ძველი წარმართობისდროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია" – ივანე ჯავახიშვილი, "ქართველი ერის ისტორია", წიგნი I, წგ-ში: ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებანი:* თორმეტ ტომად, ტომი I, თბ.: თსუ გამ-ბა, 1979, გვ. 90.

65 კორნელი კეკელიძე, *მეცნიერება ქრისტეს შობის შესახებ:* თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამა, თბ: საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, 1954 (შემდგომ ტექსტი კიდევ გადაიბეჭდა კრებულში: *მითი და სინამდვილე: ბერტრან რასელი, რატომ არ ვარ ქრისტიანი; კორნელი კეკელიძე, მეცნიერება ქრისტეს შობის შესახებ,* თბ.: განათლება, 1986, გვ. 33-48).

66 გამოქვეყნებულია ცნობა, რომლის მიხედვით, კეკელიძე თითქოს აღშფოთებული იყო ბროშურის გამოცემით და თითქოს გამოცემულ ტექსტში შეცვლილი იყოს მომხსენებლის მიერ გამოთქმული შეხედულებები, თუმცა ეს ცნობა ვერ იმსახურებს ვერანაირ ნდობას, რადგან ნამდვილი ფაქტებიც კი ამ ცნობაში სრულიად დამახინჯებულია (თითქოს მოხსენება წაკითხული იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, თითქოს ის შეტანილი არაა მკვლევრის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფიაში და სხვ.), მაგრამ, რაც მთავარია, დაახლოებით ამგვარი თვალსაზრისი მკვლევარს მანამდე უკვე გამოთქმული ჰქონდა ნარკვევში "ქრისტიანიზმი და მითრაიზმი", რომელიც თავად მან გამოაქვეყნა თავისი "ეტიუდების" მეორე ტომში, ბროშურის გამოცემამდე ცხრა წლით ადრე. ეს არცთუ სანდო ცნობა დამოწმებული და მითითებულია: ლაურა გრიგოლაშვილი, "კორნელი კეკელიძე – დედაბოძი პირველი ქართული უნივერსიტეტისა", წგ-ში: ლაურა გრიგოლაშვილი, *ლიტერატურული კონცეპტები და სხვა,* თბ.: თსუ გამ-ბა, 2018, გვ. 326.

67 შდრ. ამ ნარკვევის ტექსტი: "საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ქრისტეს დაბადების ამბავზე. ამ ამბავმა გამოხატულება პოვა ერთ-ერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს დღესასწაულში, რომელსაც „შობა" ეწოდება და რომელსაც დიდი ზეიმით იხდიდნენ და იხდიან ახლა ყველა ჯურის ქრისტიანები" – კორნელი კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,* II, გვ. 349.

> დღეს, როდესაც მეცნიერული ცოდნა იმდენად გაღრმავდა, რომ მიგნებულია ატომის საიდუმლოება და საპლანეტათშორისო მოგზაურობისთვისაც კი ვემზადებით, ადამიანის გონება უნებლიეთ უფიქრდება მოთხრობილ ამბავს და ცდილობს გაარკვიოს, რამდენად ღირსია ყველაფერი ეს ნდობისა, მართლა დაიბადა ქრისტე და მართლა არსებობდა თუ არა ის?[68]

ამდენად, კეკელიძის აზრით, მეცნიერული, ან, უფრო ზუსტად, საბუნებისმეტყველო ცოდნის წინსვლა გამორიცხავს, უარყოფს რელიგიურ რწმენას: ამ შეხედულებით, რაკი მეცნიერება ვითარდება, მოპოვებული ცოდნა ადამიანის ყველა კითხვას უპასუხებს და რწმენის ადგილი აღარსად დარჩება. ხოლო ის, რასაც ძველი საბუთები მეტყველებს, "შეთითხნილია ქრისტიანების მიერ"[69], სახარების უწყება კი მიუღებელია გონიერი ადამიანისათვის და მას "ვერ შეურიგდება ჭკუაში მყოფი კაცი"[70]. ქრისტიანთათვის უეჭველი ჭეშმარიტებანი, მკვლევრის აზრით, "არის აბუჩად აგდება, შეურაცხყოფა ადამიანის გონებისა თვით ბნელეთით მოცულ საშუალო საუკუნეებშიაც კი"[71].

კეკელიძის საჯაროდ წაკითხული მოხსენება ქრისტეს შობის შესახებ ამგვარი სიტყვებით მთავრდება:

> საბჭოთა კავშირში, სადაც გაბატონებულია მატერიალისტური მსოფლმხედველობა და მოსპობილია შრომის ექსპლოატაცია, არ არის ნიადაგი რელიგიური რწმენის არსებობისათვის. მიუხედავად ამისა, მოქალაქეთა ერთ ნაწილში კიდევ ცოცხალია სარწმუნოებრივი ტრადიციები, კიდევ სწამთ ქრისტე, მისი შობა, მკვდრეთით აღდგომა და სხვა ბევრი რამ ამგვარი. ყველაფერი ეს ცოცხლობს როგორც გადმონაშთები, რომელთა ლიკვიდაცია შესაძლებელია მხოლოდ ახსნა-განმარტებით, დაჯერებით, გონივრული, მეცნიერული პროპაგანდით, საერთოდ, მეცნიერული ცოდნის გავრცელებით. ამ საქმეში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს სკოლა, ოჯახი და მთელი შეგნებული საზოგადოებრიობა. ასეთი მუშაობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია დღევანდელი ჩვენი სოციალისტური და კულტურული მშენებლობისა[72].

როგორც ჩანს, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ისტორია (არ იგულისხმება პროპაგანდისტური ლიტერატურა ან საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დაქირავებული იდეოლოგიური მუშაკების ნაწერები) არ იცნობს უფრო მწვავე და უფრო უხეშ ათეისტურ-იდეოლოგიურ განაცხადებს, ვიდრე ამ ბროშურაშია უხვად გაბნეული, ან, კიდევ

68 კორნელი კეკელიძე, *მეცნიერება ქრისტეს შობის შესახებ,* გვ. 4.

69 იქვე, გვ. 8.

70 იქვე, გვ. 6.

71 იქვე, გვ. 7.

72 იქვე, გვ. 18-19.

მეტი, ამ ტექსტების შესაბამის რამეგვარ მსჯელობებს რელიგიის შესახებ. ასეთი გამონაკლისი კი აუცილებელ ჩაფიქრებასა და გააზრებას საჭიროებს. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია, რომ პროფესორი კორნელი კეკელიძე, მისი მრავალრიცხოვანი კვლევითი ნაშრომების საფუძველზე, ათწლეულების განმავლობაში საზოგადოდ მიჩნეული იყო და დღემდე მიჩნეულია ქრისტიანული ლიტერატურის, – განსაკუთრებით, კი ლიტურგიკული წყაროების, – შესანიშნავ მცოდნედაც და დამფასებლადაც.

ცხადია, კომუნისტური დიქტატურა მოითხოვდა, რომ თვით "გამოსწორებულ მღვდელმსახურსაც" კი, სამოცდათხუთმეტი წლის დამსახურებულ პროფესორსა და აკადემიკოსს, ამგვარი – გულწრფელი თუ არაგულწრფელი – სიტყვებით დაედასტურებინა თავისი ერთგულება კომუნისტური სახელმწიფოსა და ქვეყანაში ძალით დამკვიდრებული კომუნისტურ-ათეისტური იდეოლოგიის მიმართ.

მაინც რამ განაპირობა ამ ლექციის ჩატარებისა და ამ ბროშურის გამოცემის აუცილებლობა 1954 წელს, როცა ჯერ არ დამთავრებულიყო რელიგიის მიმართ სტალინური შემწყნარებლურ-გამოყენებითი დამოკიდებულების პერიოდი (რომელიც 1943 წლიდან იღებს სათავეს) და ჯერ არ დაწყებულიყო რელიგიის სასტიკად დევნის ხრუშჩოვისეული პერიოდი (რომელიც 1958 წლიდან გაღვივდა)? საბჭოთა სახელმწიფოს მორიგი ანტირელიგიური გაბრძოლება, რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიისა და ეკლესიის, საერთოდ, გაქრობას საბჭოთა კავშირში, 1958 წლიდან 1964 წლამდე მიმდინარეობდა, მაგრამ მისი პირველი გამოვლინებანი სწორედ 1954 წლით თარიღდება, თუმცა ეს მცდელობა იმჟამად აღარ განვითარებულა და მხოლოდ რამდენიმე წლით გადაიდო[73]. ხრუშჩოვისეული კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო "მონანიე მღვდლების" საჯაროდ გამოყვანა მათ მიერ იმის ასაღიარებლად, რომ ისინი მანამდე, როგორც მღვდელმსახურნი, სიცრუეს ემსახურებოდნენ და ავრცელებდნენ. ამგვარი სასულიერო პირი იმდროინდელ საბჭოთა კავშირში არცთუ ბევრი, მაგრამ რამდენიმე მაინც აღმოჩნდა. ფართოდ ქვეყნდებოდა და ვრცელდებოდა მათი "აღსარებები", თუ როგორ უარყვეს მათ რელიგია და როგორ შეაქციეს ზურგი ეკლესიას[74]. საბჭოთა ათეისტურ იდეოლოგიას მე-

73 ხრუშჩოვისეული ანტირელიგიური კამპანიის შესახებ: Victoria Smolkin, *A Sacred Space Is Never Empty: A History of Soviet Atheism,* Prinston/Oxford: Prinstone University Press, 2018, p. 57-83; კერძოდ, 1954 წლის ხანმოკლე კამპანიის გამო: p. 61-70.

74 მაგალითად, კორნელი კეკელიძის სიცოცხლეში გამოქვეყნებული ამგვარი კრებულები იყო: *Почему мы порвали с религией:* Сборник, Москва: Политиздат, 1958; *Почему мы порвали с религией:* Сборник, Москва: Политиздат, 1959; *Почему мы порвали с религией:* Сборник, Москва: Политиздат, 1960; მონანიებული მღვდლების წიგნებიდან კი კონკრეტულად შეიძლება დასახელდეს: Павел Дарманский,

ტად სჭირდებოდა ისეთი საჩვენებელი ყოფილი მღვდლები, რომლებიც ინანიებდნენ თავიანთ შეცდომებს და მღვდლობისაგან განდგომის შემდეგ საყოველთაოდ აცხადებდნენ საკუთარ ეგრეთ წოდებულ "თვალის ახელას".

დაბოლოს, კორნელი კეკელიძის საეკლესიო პუბლიცისტიკის ახლახან გამოცემულ კრებულში თემატურად გამოირჩევა სტატია, – "პროვოკაცია თუ სიბეცე? (ალ. რემიზოვი და სომხების „სურფსარქისი“)", – რომელიც ავტორს გაზეთ "საქართველოში" 1916 წლის 5 ივნისს დაუბეჭდავს და რომელიც ეხმაურება რუსი მწერლის, ალეკსეი რემიზოვის, მოთხრობის – "სარკსი-შუნის" – გამოქვეყნებას, ან, უფრო ზუსტად, იმ გამოძახილს, რაც მას მოჰყოლია ტფილისურ რუსულენოვან პრესაში. ლეგენდის შინაარსი მკვლევარს არა მარტო საეჭვოდ თუ გამოგონილად მიაჩნია, არამედ მასში იმგვარ სახიფათო გაელვებაგაკრთომასაც კი ხედავს, რასაც, შესაძლოა, ვითარების კვალობაზე, ეროვნულ-რელიგიური დაძაბულობაც კი მოჰყვეს: არ იყო გამორიცხული, რომ თავად ნაწარმოების ტექსტიც და მას მოდევნებული გამოხმაურებაც შეურაცხყოფად მიეღოთ სომხური ეკლესიის წევრებს, რაკი არაჯავორის მარხვის დაწესების გამო დამცინავი გადმოცემის წყაროდ მწერლისეულ ტექსტში დასახელებული იყო ქართული დადასტურება, მოთხრობილი ჯვრის მონასტრის მღვდელ-მონაზონ ილარიონის მიერ.

კორნელი კეკელიძის თვალსაზრისით, რელიგიურმა დაპირისპირებამ მოსალოდნელია გაამწვავოს ეროვნულ-ეთნიკურ დაპირისპირებაც, მათი უსათუო ურთიერთგადაჯაჭვის გამო:

> სომეხ-ქართველთა ურთიერთობა ისედაც საკმაოდ გამწვავდა ამ ბოლო დროს და რაღა საჭირო იყო გაუგებრობის თავიდან გასაძლიერებლად კიდევ სარწმუნოებრივ ელემენტების მოტანა? ჩვენ იმედი გვქონდა, რომ რუსის ინტელიგენცია არსებულ "სიმწვავეს" თუ ვერ გაანელებდა, ყოველ შემთხვევაში ნეიტრალობას მაინც გამოიჩენდა; სამწუხაროდ, როგორც თანდათან ვრწმუნდებით, მას წაღიზიანება და ერთი მეორის მისევა უფრო ეხერხება, ვიდრე მომრიგებლის როლი[75].

სხვათა შორის, რემიზოვმა ეს მოთხრობა შემდგომ შეიტანა კრებულში, რომლის სახელწოდებაა: "ლალაზარი: კავკასიური თქმულებები"[76]. ისიც სათქმელია, რომ ამ ნაკრებში, რომელიც ექვ-

Побег из тьмы: Рассказ бывшего священника, М.: Советская Россия, 1961.

75 კორნელი კეკელიძე, *ათი სტატია პრესისთვის,* გვ. 53.

76 ამ კრებულის – "Лалазар: Кавказский сказ" – ბოლო აკადემიური გამოცემა: Алексей Ремизов, *Собрание сочинений,* Том 2: Докука и балагурье, Москва: Русская книга, 2000, с. 579–603; თავად ეს მოთხრობა – "Саркси-шун" – მოთავსებულია: с.

სი ტექსტისაგან შედგება, შესულია ორი ქართული ზღაპარი: "ფარშევანგის ქვეშ"[77] და "მთიულეთის ქვები"[78] (გასათვალისწინებელია, რომ "სარკსი-შუნის" პირველ ორ გამოცემაში ეს მოთხრობაც ავტორს ქართული წარმოშობისად მიაჩნდა[79], რაც იმჟამად კიდევ უფრო ამწვავებდა კეკელიძისეულ სიფრთხილეს).

რაც დრო გადის, ალეკსეი რემიზოვის გამორჩეული შემოქმედება უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, – განსაკუთრებით კი, მის ნაწარმოებთა მითოსურ-ფოლკლორული საწყისები, – მაგრამ საგანგებო კვლევითს ყურადღებას ელოდება მისეული ქართული ზღაპრების წარმოშობა, წყაროები და კავშირები[80].

საერთოდ, ქართული ზღაპრები და ლეგენდები მათი გულდასმითი შესწავლისას, ალბათ, კიდევ ბევრ მოულოდნელობას გამოავლენს.

583–584; მღვდელ-მონაზონ ილარიონის დამოწმება – კრებულის ავტორისეულ შენიშვნებში: с. 602–603.

77 "Под павлином. Грузинская": იქვე, с. 591-598,

78 "Мтеулетинские камни. Грузинская": იქვე, с. 598-599.

79 საკითხი მიმოხილულია კრებულის აკადემიური გამოცემის კომენტარებში: იქვე, с. 703.

80 თემასთან დაკავშირებით უახლესი ლიტერატურიდან: Инга Данилова, *Литературная сказка А. М. Ремизова (1900-1920-е годы),* Helsinki: Helsinki University Print, 2010, განსაკუთრებით: с. 153-158.

აბსტრაქტი
ABSTRACT

Merab Ghaghanidze
Free University of Tbilisi

Church Publicistic Essays by Korneli Kekelidze

In 2019 the Shota Rustaveli Institute of Georgian Literature published a collection of articles "Ten Articles for the Press" by a well-known Georgian literature scholar Korneli Kekelidze (1879–1962). The collection incorporates the articles published in the newspapers in 1916–1917, but not included in any later book by Kekelidze. The articles discuss such issues as holy days and the Orthodox Church structures, the religious state in Georgia and the Georgian-Russian Church relations, as well as Church reforms and other urgent issues of the Church life.

The review discusses the above-mentioned ten articles by Korneli Kekelidze, considering their religious and political context, and also studies not widely known facts from the researcher's biography. These facts are related to his work, first of all, as of an Orthodox priest and rector of the Tbilisi Theological Seminary, and then, as of a professor of the Tbilisi State University, who, in terms of the communist dictatorship, was forced to get engaged in the ideological propaganda of the atheist state.